

ახალგაზრდა სოციურ-დემოკრატი

Edition „LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE“ Géorgienne

გამოცემა საქ. ახალგაზრდა მარქ. ორგანიზაციის საზ.-გარეთელ დელეგაციის

არიზი, აგვისტო 1931 წ.

-:- რვეული 8. -:-

HUITIÈME CAHIER.

29 ა გ ვ ი ს ტ ო

29 აგვისტო ჩვენი ბრძოლის დღესასწაულია...

ამ დღეს აღსდგა ქართველი ერი მტარვალთა წინააღმდეგ. მან აღმართა თავისუფლების დროშა და სცადა მონობის ულლის დამსხვრევა...

აჯანყება დამარცხდა. მტერმა შური იძია ერთსულოვნათ ამოძრავებულ ერზედ. მან ვერაგულათ გაულიტა ქართველი ერის საუკეთესო შვილები...

მტერი გამარჯვებას ზეიმობდა. მას ეგონა საქართველი საბოლოოთ დაი-მონა. მისი სიხარული ნააღრევი გამოდგა. ქართველი ერი სოციალ-დემოკრა-ტიის მეთაურობით ფეხზე წამოდგა და კვლავ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძო-ლა გაჩაღა...

ექვსი წელია ეს ბრძოლა გრძელდება. ქართველი ერი შეუტრეკელია ამ ბრძოლაში. მისი მწყობრი რიგები ვერ შიარყია მტრის სისატიკები...

ამ ათი წლის უსწორო ბრძოლაში ჩამოყალიბდა ქართველი ერის მთლი-ანი სახე და მისი ეროვნული ფრონტი. ამ წამებაში გამოიკვეთა ქართველი ხალხის სულიერი სიმტკიცე. აგვისტო-სექტემბრის გმირული გამოსვლები ამ ბრძოლის საუკეთესო მომენტია. 29 აგვისტო მებრძოლ საქართველოს გამან-თავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი ისტორიული ხანაა. ეს თარიღი წაუშ-ლელი დარჩება ქართველი ერის ისტორიაში...

ამ ექვსი წლის წინეთ ქართველ ერს მარტო მოუხდა გამოსვლა. დღეს კი დამპყრობელ რუსეთის წინააღმდეგ ამართულია კავკასის ერთა მთლიანი ფრონტი. დღეს იქ ერთად იბრძვიან კავკასის ერთა პარტიზანები რუსეთის წითელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ კავკასის მთლიანობის იდეიას სწო-რეთ აგვისტოს აჯანყებიდან ეყრდნა მტკიცე საფუძველი...



მტერმა საქართველო დაიბყრო, მაგრამ ის ვერ დაიმორჩილა. ის არ უფლება დება არავითარ საშუალებას ქათველი ერის გასატეხათ. დღითი-დღე იუცლული ბრძოლის მეთოდები. დღეს მისი მთავარი უურადღება მოსახლეობის ეკონომიური გაღატაებისაკენაა მიმართული. ხალხის პოლიტიკურათ დამონცხა მათი ბრძოლი ზრახვებისთვის არ დარჩა საკმარისი. ამ მიზნით მან მუშათა კლასს არ გაგონილი შრომის ბევრა დაკაიისრა და ეწევა მის უსაზღვრო ექსპლოატაციას. გლეხის მეურნეობის გაჩანაგებას კი სოფლის კოლექტივიზაციით შეუდგა. აქაც საოკუპაციო ხელისუფლებას ქართველი ხალხის ერთსულოვანი წინაღმდეგობა შეხვდა და ეს ორი წელია საქართველოში და მთელ კავკასიაში დიდ გამოსვლებს აქვს ადგილი. უდაოა ამ ბრძოლაში მტერი დამარცხებული გამოვა და ქართველი ხალხი და მისი მებრძოლი ორგანიზაციები მომზადებულათ შეხვდებიან მომავალი განთავისუფლების უამს.

საბჭოთა ქურუმებს უკვე აღარ ძალუბთ თავი დაახტიონ იმ საშინელ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზის, რაც დღეს რუსეთში მძინვრებს და დიქტატურის საფუძველს არყევენ. ამას ზეთ ერთვის კომპარტიის შინაგანი კრიზისი. გუშინდელი დიქტატორები დღეს უკვე უბრალო საბჭოთა მოქალაქებია ან და მათი ციხეების ბინადარი. სისხლიანი აგვისტო-ოქტომბრის დღეების გმირები კახიან-ღოლობერიძები და ძმანი მათნი დღეს სადღაც მაყრილი არიან და მათი ხსენებაც კი აღარ ისმის. ეს გარემოება ბევრს გზადაბნეულებს აფრთხილებს და კერძოთ ჩვენს მებრძოლ ორგანიზაციებს სიმწენეებს მატებს. მომავალი—მებრძოლი ერისა და მისი ერთგულებსაკუნ მოგვიწოდებს ჩვენ აგვისტო-სექტემბრის სახელოვანი გმირები...

დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ერმა თავის უფლების აღდგენის საქმეში. უამრავია თავდადებულ მებრძოლთა რიცხვი. ბევრი საუკეთესო ხელმძღვანელი და წევრი დაკარგა ამ ბრძოლაში კერძოთ ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატიამ. ჩვენი ახალგაზრდობა დიდის გატაცებით შეხვდა აგვისტო-სექტემბრის აჯანყებას. ასევე თავდადებით განვირობის ის ბრძოლას მშობელი პარტიის გვერდით დღესაც და მთელი თავისი არსებით ელტის სამშობლოს განთავისუფლებას ჩრთილოეთის ურდოებისაგან. ჩვენ დარწმუნებული ვართ ის მიზანს მიაღწევს და მით მოიხდის თავის წმინდა მოვალეობას ბრძოლაში დალუბული ამხანაგების წინაშე. ქართველი ახალგაზრდობა ქართველ ერთან ერთად გამოიხსნის წმინდა საფლავებს უცხოეთის ტყვეობიდან...

დღეს ჩვენ ვიგონებთ ბრძოლაში დალუბულ ამ გმირთა მთელ ლეგიონებს და დარწმუნებული ვართ მათი ხსოვნა და სახელი სამუდამოთ აღიბეჭდება ქართველი ერის ხსოვნაში, ის შარავანდედით შემოისება...

საუკუნო ხსენება ბრძოლაში დალუბულ გმირებს... ეს დიდი მსხვერპლი გალებული ქართველი ხალხის მიერ არის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მტკიცე საფუძველი. მებრძოლი საქართველო ბოლომდე გაყობა მათ მიერ განვლილ გზას და ის აღდგება მკვდრეთით...

ამ იმედით, ამ რწმენით ჩვენ მხურვალეთ მივესალმებით ჩვენს მებრძოლობაში მომავალი გამარჯვებული ბრძოლებისაკენ...

ჩვენი სადღეისო ამოცანა

ათი წლის შეუპოვარი ბრძოლით ჩვენმა ახალგაზღობამ თავისი სიმწიფე და მომზადებამ დამტკიცა. ს. ა. მარქ. ორგანიზაციამ თავისი არსებობა ბრძოლის პირობებიც გაამართლა. მებრძოლთა რიგებს მან გაუტეხელი ასეულები მისცა. ათი წლის წინად უფლება აყრილ ერმა თავისუფლების დროშა ააფრიალა; მტერთან ხმლისა და ტყვიის ენაზე ლაპარაკი გადასწყვიტა და ახალგაზღობას იმედის თვალით გადახედა. სოც.-დემ. ახალგაზღობაც პარტიის თანამგზავრი აღმოჩნდა და მტერს ერის უტეხი ნება აგრძნობინა. თავის განწირული მომავალის უზრუნველსაყოფად ბოლშევიზმა სწორედ აქით მომართა შხამიანი ისარი და ჩვენ განადგურებას შეუდგა. ამ მიზნის მისაღწევად მისთვის ყოველგვარი ზომა მისაღები დარჩა. დაიხშო ყოველგვარი გასაქანი მორალურ და გონიერივ გათვიცნობიერებისათვის.

დღეს ცოდნის მიღება იშვიათ პრივილეგიას წარმოადგენს სავჭოთა საქართველოში. ფრთა შეეკეცეა ჩვენი ახალგაზღობის იმ იდეალურ აღმაფრენას, რომელიც მისი არსებობის შინაარსს შეადგენდა. გეპეუს აღვირ ახსნილ თარეშს ვერც ჩვენი სკოლები აცდა. საბჭოთა სკოლა ეს ხომ კომსომოლურ გარყვნილების ქადაგებელია. ის ლენინის ნაცოდვილების გამოფენაა, რაც ცხოვრებამ იმთავითვე ნაცარ-ტუტად აქცია. სულიერ საზღოს მაგიერ ის ზნედაცემულობის და ნიჰილიზმის ფსიქოლოგიას ქმნის. ასეთი ფსიქოლოგიურ ცხოვა ჩვენი ერისა და მისი ახალგაზღობისათვის. აქ გაიშალა მეორე ფრონტი, ფრონტი ინტელექტუალური, რომლის გარღვევა არა ნაკლებ თავდადებას ითხოვს. ბრძოლა კომსომოლურ გადაგვარების წინააღმდეგ ქართველი მორალისა და კეთილშობილების შესანარჩუნებლად — აი, ჩვენი სამდროვო ამოცანა. ესევე უნდა დარჩეს სოც.-დემ. პარტიის ერთი მთავარი საზრუნვი. მისი ვალია სოც.-დემ. ახალგაზღობაზე მამაშვილური ზრუნვა, რათა საიმედო ხელში გადავიდეს დღეს სანეტარო მყობადი ჩვენ უნდა შევეცადოთ საბჭოთა სკოლის მომწამლელ პირობებში საკუთარი, წმინდა ატმოსფერის შექმნა. ახალგაზღობის ნორჩი გონება უნდა დაზღვეული იქნას საბედისწერო დაგადებისაგან. მეტად როტულია ამ ამოცანის გადაწყვეტა ჩვენ მდგომარეობაში. მაგრამ ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ მებრძოლის უტეხი ნება და მოვალეობის მტკიცე შეგნება არარაობად აქცევს ყოველგვარ სიძნელეს. ჩვენ უნდა შეესძლოთ საკუთარი გამძლეობით გაენადგუროთ ბოლშევიკური სკოლის უარყოფითი, გამრყვნელი გავლენა. ამას კი მოვახერხებთ თუ სათანადო სიმაღლეზედ ავიყვანთ თვითგანვითარების საქმეს.



ცხოვრება გიგანტიური ნაბიჯით მიექანება წინ. ძნელია მისი დამორჩილების სკოლა ლეგა გონება დაზუღა აღამიანისათვის. ასეთ ადამიანებს ბოლშევკიური სკოლა იძლევა ჩვენ უნდა შევძლოთ შევითვისოთ რაც მასში დადებითია, ხოლო ჩვენი ცნობიერება უნდა დაიკეტოს იმ ნიპილიზმისათვის, რომელიც, მასშია გამეფებული. ამას გაგვიადვილებს ჩვენი საკუთარი მომზადება. ცხოვრებამ ნათლად დაგვანახვა, რომ არ კმარა მარტო ფიზიკური თავგანწირვა და მსხვერპლის უსიტყვოთ გაღება. საჭიროა ძალის რაციონალური გამოყენება, რათა ნაკლები მსხვერპლით მიღწეულ იქნას ის, რაც იტორიამ დაგვაჯისრა. განუწყვეტელი ბრძოლის ქარცეცხლში მოიქნა ის თაობა, რომელიც დღე¹ ერის ბედს ხელმძღვანელობს. მომავალი ახალგაზიდობას ეკუთვნის და მან უნდა დაამტკიცოს იმ გმირული თაობის ღირსეული მემკვიდროება. რომელმც ჩვენი ერის თავისუფლება გამოსჭედა; ეს კი ღრმა ცოდნას ითხოვს ეს ცოდნა არ უნდა იყოს განყენებული. მხოლოდ ასეთი ცოდნით შეიარაღებული ჩვენ როგორც ავტომატთ კომსომლურ კრეტინიზმით დაავადებას. თუ ჩვენ წინა პართ შეეძლოთ გუთნის ტრიალთან ერთად მტრის მოგერება, ჩვენ რათ ვერ მოგახერხებთ, რომ ეს ორმაგი მისია შევასრულოთ!

3. ანუ იძულებლი.

ივლისი 1930 წ.

6. რ ა მ ი ჟ ვ ი ლ ი

თეზისგი პარტიული პროგრამისათვის *

1. ახალი პარტიული პოგრამის აუცილებლობა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიის არ აქვს საკუთარი პროგრამა. 1903 წელს რუსეთის სოც.-დემ. პარტიის მეორე ყრილობაზე მიღებული პროგრამა თვით რუსეთისათვისაც მოძველებულია და ეხლანდელ ვითარებას არ შეესაბამება.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საკუთარ პროგრამის შედეგნა აუცილიბელი შეიქნა. ეს ნაბიჯი გაგვიადვილებს გამოინახოს საერთო ენა საქართველოს იმ სოციალისტურ პარტიებთნ, რომელნიც დგანან დემოკრატიულ ნიადაგზედ და ღიქტატურას ებრძევიან.

2. სოციალიზმი ბოლშევიზმის უარყოფაა.

მსოფლიო ომით გამოწვეულმა რევოლუციებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს კ. მარქსის მოძღვრება, რომ სოციალისტური საზოგადოება კაპიტალიზმის უაღრესათ განვითარების შედეგი იქნება, და საბოლოოდ ლახვარი ჩას-

*) ვინაიდგან საქართველოს სოც.-დემოკ. პარტიის პროგრამის მიღების საკითხი. დღის წესრიგში დგას, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მექრ, ამიტომ ვაჭვეყნებთ ტრადიციულად დაღუპულ — ჩვენი სახელოვანი მასწავლებლის და ღირსეული ხელმძღვანელის მექრ ას საგანზე ჩვენთვის დაწერილ თეზისებს.

ცეს უტოპიზმს. სან-სიმონი ელოდა იმ დიდარს, რომელიც მას მილიონებს გადასცემდა და იდეალურ საზოგადოების გეგმის განხორციელებაში დაეხმარებოდა.

კიდევ უფრო შეუსაბამოა ბოლშევიკური უტოპია: ის სახელმწიფოს ძალა-უფლების ხელში ჩატარდებით ლაშმობს სოციალიზმის დამყარებას, ამ გზით ის კ. მარქსის მოძღვრებასთავადაყირა აყენებს. მარქსის შეხედულებით საწარმოვო ძალთა განვითარება, ეკონომიკა, საზოგადოების საფუძველია, ხოლო პოლიტიკა ზედ-ნაშენია.

ბოლშევიკების მოძღვრებით კი პირიქით, სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში ჩატარდებით და დიქტატურის გამოცხადებით შესაძლებელია ეკონომიკურ საფუძვლის გარდაქმნა და ახალი საზოგადოების აგება.

დღეს კველასათვის ცხადია, რომ ბოლშევიზმი სასტიკათ დამარცხდა. მისი მოქმედების შედეგია არა საწარმოვო ძალთა განვითარება, არამედ საყველთაო სიღატაკის მორევში მთელი საზოგადოების გადასრულა. ეს საშინელი კატასტროფა, რასაც სოტიალიზმთან საერთო რასაკირველია არაფერი აქვთ. სოციალ-დემოკრატიული პროგრამა უნდა აეგოს ბოლშევიკური ექსპერიმენტების საბოლაო დაგმობისა და ეკონომიურ კანონთათვის გადამჭრელ როლის მიჩნევაზე.

3. ახალი სოციალისტური საზოგადოება ოვით კაპიტალიზმის ძლევა-მოსილი განვითარებით მზადდება.

კლასთა ბრძოლის ვამწვავება და საწარმოვო ძალთა კონცენტრაცია—აირაუთნების ძირის კანიტალიზმს და მის ნაცვლათ ახალი საზოგადოების დაფუძნებას მოითხოვს.

4. სოციალიზმის აუცილებლობას დაღადებს დემოკრატიის გაძლიერება და მისი პოლიტიკური გაბატონება.

ბურჟუაზია, დემოკრატიას მტრობს და ცენზიანი კონსტიტუციით კმაყოფილდება. საყველთაო საარჩევნო უფლება ორივე სქესისათვის ყოველნაირ შეზღუდვის უარყოფით, მოპოებულია მუშათა კლასის ხანგრძლივი ბრძოლით და მისი ძალატანებით გაბატონებულ კლებზე. დემოკრატია მუშათა კლასის ინტერესია.

ამას გადაჭრით აღიარებენ სოციალისტურ მოძრაობის მეთაურები. „ის (დემოკრატია) იძლევა საშვალიბას—ამბობს კ. კაუცი—კლასთა ბრძოლა ნაკლების მსხვერპლით ვაწარმოვთ“ (კ. კაუცი, ჰეიდელბერგის პროგრამა გერმანიის სოც.-დემ. პარტიისა, პრინციპიალური ნაწილის ახსნა-განმარტება).

„დემოკრატიის უახლოესი ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“. (კაუცი, იქვე) „დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს აუცილებელ წინა-სწარ პირობას შრომის გამარჯვებისას კაპიტალისტურ გაყვლების წინამდებელი“. (კ. კაუცი. იმავე წიგნში). არა ნაკლებ საყურადღებოა როზა ლუქ-სენბურგის აზრი, რომელიც ბოლშევიკებს ბევრს რამეში ეთანხმებოდა, —ის სწერდა: „თავისუფლება მხოლოდ მთავრობის მომხრეთათვის—რანაირი მრავალ-რიცხოვანიც არ იყვნენ ისინი—არ არის თავისუფლება. თავისუფლება მუდამ მოაწავებს—თავისუფლებას სხვარივ მოაზროვნეთათვისაც. როზა ლუქსენბურგი „რუსეთის რევოლუცია“, გამოცემა პაულ ლევის წინასიტყობით გვ. 109). შემდეგ: „ეს აის პროლეტარიატის ისტორიული მისია ბურჟუაზიული დემოკრატიის ნაცვლად შექმნას სოციალისტური დემოკრატია და არა ის, რომ მოსახლეობის ყოველივე დემოკრატია“. (იქვე გვ. 116).

უფრო გარკვევით იცავდა დემოკრატიის მნიშვნელობას ავგ. ბებელი „სახელმწიფო, რომელიც ამჟამად კლასიურ ბატონიზმით დამყარებული უნდა გადიქცეს სახალხო სახელმწიფოთ, სადაც არ არსებობს არავითარ პრივილეგია“. („ჩვენი მიზანი“).

ასევე გატაცებით იცავდა დემოკრატიის მნიშვნელობას ფრ. ენგელსი: რაც ცხადია, ეს ის გარემოება, რომ ჩვენი პარტია და მუშათა კლასი გაბატონდებიან დემოკრატიულ რესაცელიკაში“. (Neue Zeit. Zur kritik des Socialdemokratischen Progr. 1891).

ბოლშევეკიურ გადატრიალების შემდეგ დემოკრატიის გაბატონების მნიშვნელობა სოციალიზმის დასამყარებლათ მეტათ მკაფიოდ გამოთქვა 1919 წ. 3-10 თებერვლის ინტერნაციონალუმა სოციალისტურმა კონფერენციამ, რომელიც შეიკრიბა ქ. ბერნში. აქ მიღებულ იქმნა ბრანტიგის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ:, სავსებით ეთანხმება რა ინტერნაციონალის ყველა კონგრესებს, ბერნის კონფერენცია გადაჭრით დგას დემოკრატიის ნიადაგზე. სოციალიზმათ გარდაქმნა, ლრმათ გამსჭვალული სოციალიზმით, არ შეიძლება განხორციელდეს და განმტკიცდეს თუ ის არ ეყრდნობა დემოკრატიის მოპოებას და თუ მისი ფესვები არ ემყარება თავისუფლების პრინციპს“.

5. პოლიტიკური დემოკრატიის ბატონობა ხალხს აჩვევს დემოკრატიული პრინციპი სოციალურ-ეკონომიურ სფეროშიც გადიტანოს.

ეს სავსებით ბუნებრივია. საარჩევნო უფლებით ყველა სარგებლობს, თავისუფლება წერის, სიტყვის და სხვა საყოველთაო მოპოებაა. მაგრამ ამავე დროს ლარიბა მოკლებულია საშვალებას თანამედროვე კულტურით ისარებლოს. ამიტომაც არის უკავყოფილება იბადება თვით წვრილ ბურჟუაზიულ წრეებშიც კი, რომელნიც იძულებული ხდებინ სოციალურ საკითხების მნიშვნელობა უფრო და უფრო წამოაყენონ და მით პროლეტარიატის მოკავშირეობა იყისრონ.

ამიტომაც იყო შვეციაში რადიკალები მხარს უჭერდენ სანდლერის სოციალისტურ მთავრობას. დანიაში რადიკალები სოციალისტებს

საფრანგეთში ერიოს კაბინეტი იძულებულიყო სოციალისტურ პარტიის დირექტორებისათვის გაეწია უდიდესი ანგარიში.

„მოკლეთ წვრილი ბურჟუაზია თანდათანობით იგნებს, რომ გარეშე სოციალურ სამართლიანობისა, პოლიტიკური დემოკრატია ცალმხრივია (იხ. ნ. უორდანის „პრლიტიკა“).

6. დემოკრატია ერის თავისუფლებას მოასწავებს.

დამორჩილებულ ერს არ შეუძლია დაამყაროს ბატონობა დემოკრატიის, ვინაიდან მისი ბედის გამგე სხვა ვინმეთა და არა თვითონ ის. ამიტომაც სოციალიზმი მუდამ მოითხოვს ერის თვითგამორკვევის უფლებას და ილაშქრებს, ერთა დაპყრობა-დამორჩილების წინააღმდეგ.

ქ. მარქსმა პირველ ინტერნაციონალის დამარსებელ ადრესში დაგმო, როგორც პოლონეთის დამონება, ისე რუსეთის მიერ კავკასიის მთიელთა დაპყრობა. (პატარა სახელმწიფონი, „პოლიტიკა“ ნ. ჟ-სი).

მარქსიზმის თანამედროვე საუკეთესო თეორეტიკოსმა ქ. კაუციმ ეს თავის ახალ წიგნში «Die Materialistische gesch.

ტომი მეორე, გვ. 441) შემდეგ ნაირად დაასაცუთა: „აბსოლუტიზმის დროს სხვა და სხვა ოლქს სხვა და სხვა ენით, ხალხის დაუკითხავთ, ძალით იძყროს სხვა და სხვა ოლქს სხვა და სხვა ენით, ხალხის დაუკითხავთ, ძალით იძყროს ბდენ და მათ უყურებდენ, როგორც მეფეთა კერძო საკუთრებას და როგორც

ასეთს მემკვიდრეობით გადასცემდენ ან დაქორწინებისას მზითვათ აძლევდენ. აბსოლუტიზმი იბრძოდა მათვის, თავზე მოეხვია ერთი და იგივე ენა, ერთი და იგივე უფლება, ერთი და იგივე სამეურნეო პოლიტიკა. დემოკრატიის დროს სულ შინააღმდეგი ხდება, ის ელტვის განსაკუთრებულ სახელმწიფო შინააღმდეგი ხდება, ის ელტვის განსაკუთრებულ სახელმწიფო შინააღმდეგი ხდება სახლში თვით ბატონობა დამკვიდროს ყველა იმ ოლქებისა თავი მოუყაროს და მისი თვით ბატონობა დამკვიდროს ყველა იმ ოლქებისა თავი განვითარებაში საბაც ხალხი ერთ და იმავე ენისა ან სხვა საერთო კავ-ან ტერიტორიისათვის, საბაც ხალხი ერთ და იმავე ენისა ან სხვა საერთო კავ-ან შინის გამო თავს ერთ ცხოვრებაში გაერთიანებულათ გრძნობს. მთავრობა უნდა გამომდინარეობდეს თვით ხალხისაგან. მართვა-გამგეობაში, სასამართლოში, სკოლაში, ჯარში ხმარებაში უნდა იყოს თვით ხალხის ენა. აუტანელი ხდება სახელმწიფო ბრივი დამკიდებულება სხვა ენაზე მოლაპარაკე ტომებ-თან, რომლებიც ურთი-ერთობაში პრივილეგიურ მდგომარეობას ელტვიან ავრეთვე აუტანელია ერთი ცხოვრების რამდენიმე პატარა სახელმწიფოს აქცეულმაცება, რომელთა ბედია პოლიტიკური და ეკონომიკური უძლებება.

ლოკლური ეროვნულ სახელმწიფოს დაარსებისაკენ წარმოდგება იმავე პირობისაგან, რასაც თანამედროვე დემოკრატიისაკენ მივყევართ. ის მათან შეზღიულათ დაეყმარება ერთა თვითგამორკვევის იმავე საფუძველს. როგორც შეუძლებელია შეჩერება ინდუსტრიის განვითარების, ისევე შეუჩერებელია ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელება".

ამიტომაც არის დემოკრატია ერის თვითგამორკვევის მოითხოვეს. პ. კაუცი თავის წიგნში „(ერთა განთავისუფლება) „ის ვისაც სურს ხელი შეუწყოს პროლეტარიატის განვითარებას, ვალი-დებულია ელტვოდეს დემოკრატიისაკენ და ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარებისაკენ" (გვ. 6). და აი სოციალ-დემოკრატიი ყველა ერთა თანასწორ უფლებითანობის მომხრეა. კაუცი იმავე წიგნში „(ერთა განთავისუფლება) " სწერს: „იგივე უფლებრივი თანასწორობა, რასაც დემოკრატია რომელი-მე ერის ფარგალში მოითხოვს ცალკე პიროვნებათათვის უნდა გახდეს შედეგი ინტერნაციონალური სოლიდარობისა ყველა ცალკე ერისათვის ეროვნება-თა საერთო ოჯახში".

ეს საცისქოთ ნათელია. პრინციპი საყოველთაოა, მაგრმა არიან სოციალისტები, რომელნაც პირველ რიგში აყენებენ არა ერის და საზოგადოების, ინტერესს, არამედ სახელმწიფოთა საჭიროებას და ამიტომ არსებულ საზოგრების დამცველად გამოდიან. მათ წინააღმდეგ პ. კაუცი აცხადებს: „ინტერნაციონალური სოტ.-დემოკრატია გამოდის არა სახელმწიფოთა საჭიროებისაგან, არამედ ერების საჭიროებითაგან და ამიტომ მოითხოვს ყველა მათთვის დამოუკიდებლობასა და ხელუხლებლობას იმ ტენდენციისა, რომელიც მის (ერის) მიერ დასახელებული და დამუშავებულია". (იქ. იქვე).

მავრამ ამ ხანად ბატონობს არა პრინციპი სოციალიზმისა, არამედ ტლან-ქი ძალა იმპერიალიზმისა, რომელიც ელტვის ერის დამორჩილება-დატუქვებას, ასეთ პოლიტიკის წინააღმდეგ პ. კაუცი აცხადებს: „ჩვენ შემდეგ დავინახეთ. რომ შეუძლებელია დატუქსოთ ლოკლურა ეროვნულ სახელმწიფოს დაარსებისათვის, ისე როგორც შეუძლებელია დატუქსოთ ლოკლურა დემოკრატიისთვის თვით სახელმწიფოს ფარგლებში, ვინაიდება ამას აქვს ლობა საფუძველი თანამედროვე ვითარებაში და რადგანაც ის გაბატონებულია ჩვენი დროის პოლიტიკურ (ქოვრებაში)". (იქვე გვ. 5). ეს პრინციპი აღიარა ბრიუსელის სოციალისტურმა კონგრესმა კოლონიალურ ერთა მიმართ და სოციალისტურ პაპტიათა მოგალეობათ გამოსაცავადა ხელი შეუწყოს, ეროვნებათა დამოუკიდებისათვის ბრძოლას, როცა თვით ერი ასეთ მოთხოვნილებით გამოდის.

ამ დებულებას უან უორესი მთელ თავის სიცოცხლეში იცავდა. ყველაზე უფრო მკაფიოდ ის მან გამოხატა თავის უკანასკნელ ნაწარმოებში («Armée Nouvelle»). -ში) ის ამბობს: „იკორია აღარ არსებობს, სოციალიზმი ამიერი-

დგან არ ეთიშება ცხოვრებას, არ ეთიშება ნაციას (ეროვნებას), ის არ ციტატების სამშობლოს. ის ცდილობს გამოიყენოს სამშობლო, რათა გარდაქმნას და გაადიდოს... კაცობრიობის ერთობა განხორციელდება დამზუკიდებელ, ერთა თავისუფალი ფედერაცით, რომელიც უარყოფს ყოველგვარ ძალათობას და ემორჩილება უფლების საერთო წესებს. ეს არ არის ცალკე ერთა სამშობლოს მისამართი, ეს არის მათი გაყეთილშობილება, ყველა მათი სამშობლო ამაღლება კაცობრიობამდე, და არაფერს დაკარგავს თავის დამოუკიდებლობას, თავის ორგინალობისა და გნიის თავისუფლების მხრივ... ახალი კაცობრიობა მდიდარი და ცოცხალი იქნება იმდენათ, რამდენათ თვითეულ ერთს თვისებურობა გაგძელებულ იქნება საერთო ჰარმონიაში და რამდენათ ყველა ერთს სამშობლო ატოკდება საკაცობრიო ქნარის ხმაზე, საჭიროა ყველა დამოუკიდებელი სამშობლო კაიმარჯვოს ინერჩაციონალური სულით... მაგრამ დემოკრატია და ერთი რჩება არსებით, ძირითად პირობათ ყოველგვარ მიმმავალ და უმაღლეს შემოქმედებისა... ყოველგან საღაც არსებობს სამშობლო ე. ი. ისტორიული ჯგუფები, რომელთაც აქვთ შეგნება ერთობისა და მემკვიდრეობით მისი გაგრძელებისა, ყოველივე თავდასხმა მათ თავისუფლებაზე და ინტერნაციონალზე არის თავდასხმა ცივილიზაციაზე. კიდევ მეტი ბარბაროსობისაკენ უკან დაბრუნება და სხვა".

ამიტომაც არის დემოკრატია და ერთს თავისუფლება ერთი-მეორეზე გადაჯაჭულია, ხოლო ორივე ერთად სოციალიზმის განხორციელების წინაშარ პირობას შეადგენს.

წინეთ საქართველოს სოციალ-დემოკრატია კულტურულ ავტონომიით კიაყოფილდებოდა, ხოლო ამჟამად ის გადაჭრით იცავს ერთს დამოუკიდებლობას.

რა მოხდა? რა გამოიცვალა?

მოხდა მხოლოდ ერთი ამბავი: ერმა თავისი ბედი გამოარკვია, ჩაება რა იმ ფერხულში, რომელიც მოყვა მსოფლიო ომის მიერ აგორებულ ტალღას.

დღეს საქართველოს ბედი თვით ქართველი ერთს მიერ სამუდამოთ გადაჭრილია და ამჟამად ჩვენი პარტია როგორც ყოველოვის ტვირთმმიმეთა და დაჩაგრულთა ბანაკში დგას და მის ბრძოლას სათავეში უდგია. რომ ამჟამად უფრო ორგენებს პარტიის სურვილს, ბოლო მოუღოს უცხო უდელს და ერთ გაიყვანოს სამშვიდობოზე, რასაც ეწოდება დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენა.

7. სოციალიზმის განხორციელების ხაზი

ეს ხანგრძლივი პროცესია. თვით იტერ-ბაუერი, რომელიც ბევრში თანაუგრძნობს ბოლშევკიებს, სწერს: „პოლიტიკური რევოლუცია შეიძლება იყოს საქმე ერთი დღის, მონარქიის აღიღოს რესპუბლიკის დაწესება, მცირე ჯგუფთის პრივილეგიათა ნაცვლათ—ყველას თანასწორობა.—ეს იყო მუდამ საქმე ერთი დაკვრის“. (Der weg zum Socialismus) („გზა სოციალიზმისა“). მაგრამ სულ სხვაა სოციალური გარდაქმნა, კ. კაუცი ამბობს: „შეუძლებელია ყველა კაპიტალისტურ წარმოების სოციალიზაცია, ერთსა და იმავე დღოს მხედვეს“ იხილეთ— (Heidel. Prog.). როგორ მოხდება ეს გარდაქმნა? დემოკრატიული გზით თუ დიქტატურის გამოცხადებით? 1872 წ. მარქსმა ამსტრედამის ინტერნაციონალის კონკრეტის ერთს მიტინგზედ შემდეგი წარმოსთქვა: „ჩვენ ვიცით რომ, ამგარიში უნდა გაუწიოთ დაწესებულებებს, ჩვეულებებს და ადათებს სხვა და სხვა ქვეყნისა, და ჩვენ უარს არ ვყოფთ, რომ არსებობს ისეთი ქვეყნები. მავ-

ამერიკა, ინგლისი და რომ უკეთ ვიცნობდე თქვენს დაწესებულებებს შეიძლება დამემატებია პოლნდია,—სადაც მუშებს შეუძლიათ თაუისი მიზნის მშვიდობიანი გზით მიხსევა. მაგრამ ასე როდია სხვა ქვეყნებში“. (მოყვანილია ჭ. კაუცის წიგნში «Die Diktature des Proletariats».

ამასვე იმეორებს ფრ. ენგელი: „ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ მოსალოდნელია ძველი საზოგადოება ახალ საზოგადოებათ გარდაიქმნას მშვიდობიანათ იმ ქვეყნებში, სადაც სახალხო წარმომადგენლობის ხელშია მთელი ძალა-უფლება; დამოკრატიულ რესპუბლიკებში, როგორც საფრანგეთია და ამერიკა, მონარქიებში, როგორიცაა ინგლოსში, სადაც მონარქიის ყოველ დღიურ გამოყიდვაზე თვით პრესაში ლაპარაკობენ და სადაც დინასტია უძლურია ხალხის სურვილის წინამდებარება.“

მაგრამ იმ ქვეყნებში სადაც დემოკრატია სუსტია ან და სადაც ბოლშევიზმა გააძლიერა ფაშისტური ტენდენციები, აუცილებელი იქნება კლასთა-შორის მძლავი შეხლა-შემოხლა და გაბატონებულ უმცირესობის ძალით დამორჩილება.

ამნაირად იმ ქვეყნებში სადაც დემოკრატიის ბატონობა მკვიდრია, სოციალური გარდაქმნა ანუ რევოლუცია მშვიდობიანი გზით, მშვიდობიანი ბის ხასიათს მიიღებს“.

8. როგორ .უნდა .გავიგოთ პროლეტარიატის .დიქტატურა

ბოლშევიზმა მცირე ჯგუფის ამოძრავება პროლეტარიატის დიქტატურით მოხატლა და თავის ბატონობას ის ინარჩუნებს ჯერ არსად ნახული ტერორით. სულ სხვა აზრის იცავდნენ ჭ. მარქსი და ფრ. ენგელი: „ველა დღევანდის არსებული მოძრაობა ამბობს, „კომუნისტური მანიფესტი“ იყო მოძრაობა უმცირესობის ამ უმცირესობისავე ინტერესთა უზრუნველსაყოფათ. პროლეტარული მოძრეობა კი არის დამოუკიდებელი მოძრაობა ხალხის ე. ი. უმრავლესობის დიდ უმრავლესობისავე ინტერესებისათვის“. მართალია, მარქსი და ენგელიც ამბობდნენ, რომ პროლეტარიის ამოძრავების შედეგი იქნება პროლეტარიატის დიქტატურის დაწყებამ“. თვით მანიფესტშივე განმარტავს, თუ როგორ ესმოდათ მათ ეს დიქტატურა:

ჩვენ უკეთ დაგვინდნეთ, რომ მუშათა რევოლუციის პირველი ნაბიჯი იქნება პროლეტარიატის ამაღლება მართველ კლასათ, მოპოება დემოკრატიისა“ (კონ. მან.). კიდევ უფრო ნათლათ განმარტავს ამ ცნებას ფრ. ენგელი: „რაც ცხადია ეს, ის რომ ჩვენი პარტია და მუშათა კლასი გაბატონდებიან დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმებში. ეს არის სპეციფიური ფრთა ფრთა პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც ეს საფრანგეთის რევოლუციამ გვიჩვენა“ «Zur Kritik der Soc.-dem. Prog. 1891».

ყველაზე იცის, რომ პარიზის კომუნა შესგდა საყოველთაო არჩევნების გზით. ამიტომაც იყო ჭ. მარქსი ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს წერილში სწერდა: „რაფერი არ იქნებოდა ისეთი უცხო პარიზის კომუნის დასახასიათებლათ, როგორც საყოველთაო უფლების ნაცვლათ, იერარქიულ უფლების დაწესებამ“. აშენაა მარქსი და ენგელის სიტყვა „პროლეტარიატის დიქტატურა“ ხმარობენ იმავე მნიშვნელობით როგორც დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ბურჟუაზიულ დიქტატურაზე ლაპარაკობენ.

წინააღმდეგ ბოლშევიზმისა, რომელმაც ეს ტერმინი—„პროლეტარია-

ტის დიქტატურა“ — გაღამახინჯა, ჩვენ უნდა შემოვილოთ უფრო სწორი ტერმინოლოგია: პროლეტარიატის როგორც ყველა ჩაგრულთა მეთაურის ამოძრავება და ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ ხელში ძალა-უფლების აღება დემოკრატიის საბოლოო გასამტკიცებლათ და სოციალურ გარდაქმნის მოსაწესრიგებლათ.

9. წვრილ მესაკუთრეთა ქონების ხელშეუხლებლობა

სოციალიზმი მსხვილი წარმოებისა და გაცელა-გამოცვლის განსაზოგადოებრივებისა. ამიტომაც არის წვრილ მესაკუთრეთა ქონება, რომელნიც თავის შრომით და არა სხვა მშრომელთა გაყვლელით ცხოვრობენ, საცხებით ხელშეუხლებელი დარჩება.

„ქონების ჩამორთმევა არ შეეხება“ — ამბობს კაუცი არც გლეხს და არც წვრილ ხელოსანს, მათი ქონება ხელშეუხლებელი დარჩება“. (Heidel. Prog.).

ამასევე იმეორებს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პროგრამა „გაბატონებულ კლასთა ნაძარც ქონების ჩამორთმევით გლეხთა ქონება არა თუ არ ჩავარდება საფრთხეში, პირიქით ის განმტკიცდება... აგრეთვე სოციალისტურ საზოგადოების ფარგლებშიც გლეხები, როგორც თავისუფალი მესაკუთრენი ცხოვრობენ თავის მამულში“.

10. სოციალიზმის განხორციელება ყველა ქვეყნის მუშაობა ამოძრავებით მოხდება

ბოლშევიკთა უდიდესი დანაშაული მშრომელთა წინაშე სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ძალა-უფლების დასაპყრობათ და მის შესანარჩუნებლათ მათ გადმოისროლეს დემაგოგიური ლოტუნგი — სოციალიზმის დამყარებისა ჩამორჩენილ რუსეთში. როგორც თავიდგან აშკარა იყო, ეს რასაკვირველია შეუძლებელი გამოდგა, ვინაიდგან სოციალიზმი — კაპიტალიზმის უაღრესათ განვითარების შედეგი იქნება. ბოლშევიკური საქმიანობა ნაროლიკითა მოძღვრების გამართლებას ემსახურებიან; რასკვირველია ის დამარცხა, მასთან ერთად მთელი მუშაობა კლასიც დაიქსაჭა და დიქტატურის წყალობით ჩამოიქვეთდა. მომავალში მსგავს ექსპერიმენტების განმეორება ჩამორჩენილ ქვეყნებში შეუძლებელი იქნება.

მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ო ვ ი ზ ი ხ ა ნ ი

11. საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენა

უცხო კუნძაციამ მოსპონ საქართველოს დამოუკიდებლობა, განაცდება რა დემოკრატია და მით ქართველ მშრომელ ხალხს თვით-მოქმედების ლაბავარი ჩასცა. ამიტომაც არის ქართველი ერი სოციალ-დემოკრატიის მეთავარი ჩასცა. ამიტომაც არის ქართველი იბრძება დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკით ასე დაუინებით იბრძება დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის აღსაღენათ. ეს შეიძლება დიქტატურის დამხმბით რაც საბჭოთა კავშირში რევოლუციის შედეგი იქნება და რასაც აუცილებლათ მოყვება საბჭოთა კავშირის შემაღებელ ეროვნულ ნაწილებათ დაყოფა.

12. ა გ რ ა რ უ ლ ო პ რ ო გ რ ა მ ა

საოცუბაციო ხელისუფლებამ საქართველოში გააუქმა დემოკრატიის მიერ შემუშავებული აგრძოული კანონი და ჩვენში ნაწილი უტობის მიწის სოციალიზაციის განხორციელებას შეუდგა, ეხლავი-ის სოფლის მეურ-

ნეობაში კოლექტივიზაციის მოგვარებას ლამობს. ეს სოციალისტურ მოძღვრების თავდაყირა დაყენებაა. სოციალიზმი მხევილი წარმოების განსაზოგადოებრივობაა და არა წვრილი წარმოების განადგურება.

ამ ახალი ექსპერიმენტების შედეგია სოფლად საწარმოვო ძალთა განადგურება, ინვენტარის გაქრობა და შიმშილის გამოწვევა.

ამის საწინააღმდეგოთ სოციალ-დემოკრატია მოითხოვს ყველა ნაროდ-ნიკულ-ბოლშევიკურ ექსპერიმენტების გაუქმებას, ადგილ - მამულის კერძო-საკუთრების დაკანონებას და ხელ-ახლა ყველა მიწის მომუშავეთა შორის ადგილ-მამულის სამართლიანათ განაწილებას.

მ ა რ ჩ ს ი ზ მ ი ს ს ა კ ი თ ხ ი

(გაგრძელება *)

3. კლასთა ბრძოლა

უკვე ძველ ბერძნულ ოესპუბლიკებში, ისე როგორც ძველ რომში არსებობდა საზოგადოების კლასებად დანაწილება: პატრიოტები, პლები, ყმები რონები და ამის გამო კლასთა ბრძოლა, სამუალო საუკუნოებში კლასთა დანაწილება იყო შემდექი: ფეოდალები, ვასალები, აქტრები, შეგირდები, ყმები. კაპიტალისტური წესწყობილების დროს-კი: ბურჟუაზია, მემამულენი და მუშები, მათი ქვეკლასებით. მარქსისტულ კლასთა ბრძოლის მოძღვრებაში მთავარი ეს არის: განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე სამეურნეო მთელ ვარი ეს არის: განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე სამეურნეო პროცესიდან ჩნდებან სხვა და სხვა საზოგადოებრივი კლასები, რომელთაც ცნ პროცესში მათი წილის მიხედვით, განსაკუთრებული სამეურნეო ინტერესები აქვთ და სცდილობენ ეს ინტერესები პოლიტიკურ ცხოვრებაში განახორციელონ, ამგვარად, კლასთა ბრძოლა ბუნებრივად პოლიტიკურ ასპარეზზე ჯდება. კლასთა ბრძოლა არის პოლიტიკური ბრძოლა. როგორ ხდება კლასთა ცნტერესების განხორცილება? — პარლამენტარული მოქმედებით, პრესის საშავალებით, ქუჩებით, ქუჩებში დემონსტრატივებით, გაფიცვებით, ქუჩაშა აჯანყებით დ სხვა. კლასთა ბრძოლის მარქსისტულ მცნები სათვის სულ ერთია: თუ რომელი გზით იწარმოებს ეს ბრძოლა, ხოლო თუ რა გზით ამას პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა აჭვს.

საზოგადოებრივ შრომის პროცესის ცვლასთან ერთათ ბუნებრივად იცვლებიან აგრეთვე მასში ფეხმოდგმული კლასთა ფენები. არამც თუ მარტო კლასები იცვლებიან, არამედ მათი ერთი-მეორესთან დამოკიდებულებაც, და ამავე დროს იცვლებიან ბრძოლის წარმოების საზოგადოებრივ პირობები, ანუ სხვა სიტყვით: მეურნეობის განვითარებასთან და ამისგან გამომდინარე საწარმოო დამოკიდებულებებთან ერთათ კლასთა ბრძოლაც სხვა

*) იხ. რვეული 7.

და სხ. ფორმას ღებულობს. არა მარტო სამეურნეო დამოკიდებულებანი ან-დენენ გადამწყვეტ გავლენას ბრძოლის ფორმებზე, არამედ, ვინაიდგან ბრძოლა პოლიტიკურ ასპარეზზედ სწარმოებს, ეს პოლიტიკური ვითარებანიც მათზე არა ნაკლებ გავლენას ახდენენ. ბრძოლის ფორმები, რომელიც ერთ განსაზღვრულ სამეურნეო და პოლიტიკურ მდგომარეობიდან გამომდინარეობენ და მიზანშეწონილი არინ, შესაძლებელია სრულიათ გამოუსადეგარი შეიქნა მეორე დროში, სხვა ვითარებაში, სწორეთ ისე, როგორც კლასთა ბატონობის ფორმებიც მრავალგვარ იცვლებიან. იმის ცდა, რომ ჯიუტად მისდომ „ძველს გამომწმედილ ბრძოლის ფორმებს“ გვიჩვენებს, თუ ბრძოლის პირობები დროთა განმავლობაში არსებოთად გამოიყენებან. რომ ბრძოლის ტაქტიკა გადაბრუნებული და უსწოროა. ამიტომ არის, რომ მისწრაფება ვანხორციელო კლასთა ინტერესები პარლამენტარული მოაღარეობით, ან საზოგადოებრივი რჩეროვნებაზედ გავლენის მოხდენით; იქნება ეს გაზრდითი, სიტყვის, წიგნების, ისტორიული თხუზულებების საშვალებით თუ სხვა. მარქსისტური აზდით, ნაკლებად არაა კლასთა ბრძოლა, კაუპ მაგალითად, რომელიმე პოლიტიკური უფლების მოპოვება საერთო გაფრიკეროთ ან ქუჩაში ბრძოლით. თუ რა არის ადვილი და რას უფრო სწრაფად მივყევართ მიზნისაკენ, არსებული პირობებზე დამოკიდებული.

როგორც დავინახეთ, მარქსის თვალსაზრისით არსებობს სამი უმთავრესი კლასი, რომელიც ქვეკლასებად ნაწილდება; ამას გარდა ამ კლასთა დანაწილებაში არსებობენ საშუალო და გარდამავალი საფეხურები; მისივე აზრით კლასთა ინტერესების გარდა არსებობენ სხვა საზოგადო ინტერესებიც; რასაკვირველია, თავისთავად ცხადია, არსებობენ პიროვნებანი, კერძო ინტერესებიც, ანუ როგორც თვითონ მარქსი ამბობს: საზოგადოებაში კლასთა დანაწილებასთან ერთად გვხვდება „ინტერესებისა და მდგომარეობის ურიცხვი დაქუცმაცება, რომელშიც საზოგადოებრივი შრომის დანაწილება ჰყოფს მუშებს კაპიტალისტებს და მემამულებს“. მარქსისტული შეხედულებით პირველად ყოვლისა არსებობენ პიროვნული ინტერესები, რომელიც საზოგადოებაში თვითოეულისა პიროვნული მდგომარეობით არიან განსაზღვრული; ამასთან ერთად არსებობენ კლასთა ინტერესები; და ამას გარდა სხვა მრავალი საერთო ინტერესები, როგორც მაგალითად: სახელმწიფო ინტერესები, ეროვნული ინტერესები, ხელობის, გვარის, თემის, ეკლესიის და სხვა ინტერესები. ყველა ეს ინტერესები, რომელიც მრავალნაირად ერთი-მეორეს ავსებენ, აფერხებენ, აპობენ ან ჯვარედინდებიან, მეტნაკლებობით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხორციელდებიან და ამგვარად ხანსაზღვრულ დროში ამ ცხოვრებას თვითებურ ისტორიულ სახეს აძლევენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა არ არის ერთად-ერთ გვარ ინტერესების გავლენის შედეგი, არამედ იგი არის საერთო და ერთი-მეორეს მოწინააღმდეგ მრავალნაირ ინტერესთა გავლენის შედეგი,— რომელთა შორის, რასაკვირველია, განსაზღვრულ დროში რომელიმე ინტერესი განსაკუთრებულად შეიძლება ბატონობდეს, მაგალითად, კროვნული ინტერესი, მარქსის თვალსაზრისით, კლასთა ბრძოლა სრულები-

თაც არ არის ერთად-ერთი ფაქტორი საზოგადოებრივ ცხოვრებისა, არამედ „*უნიკალური გინიადგან ინტერესები „ურიცხვად“ დაქუცმაცებული არიან, არსებობენ ამა- ტომ „ურიცხვ“ ინტერესთა წინააღმდეგობანი და ბრძოლანი. „კომუნისტურ მანიფესტის“ წინადადება: „აქმდე არსებულ ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია“ არ ამბობს იმას, რომ აქმდე საზოგადოება- ში არ არსებობდა არავითარი ბრძოლა ეკლესის, თემის, ხელობის, ოჯახის ინტერესებისათვის და სხ., არამედ ამბობს იმას, რომ დღემდე საზოგადოების ისტორიულ განვითარებაში კლასთა ბრძოლამ მნიშვნელოვანი როლი ითამა- შა და პოლიტიკურ ცხოვრებას თავისი დაღი დასვა. საზოგადოებაში ინტერეს- თა ბრძოლა მარქსის მიხედვით მარტო კლასთა ბრძოლით არ ხსიათდება.*

ვიქ. ნოზაძე.

ქართველი ახალგაზღობის გლობალური განვითარება

ქართველი ახალგაზღობა განსაკუთრებულის სიმწვავით ვაჩაცლის, საო- კუნიო რეჟიმის სუსსს. მისთვის დახშულია მოქმედების ყველა საშუალება და ჩაკეტილია განვითარების ყველა კარები; ამიტომაც არის ქართველი ახალ- გაზღობა და კერძოთ მისი სოციალ-დემოკრატიული ნაწილი გაერთიანებული ახალგაზღობა მარქსისტთა ორგანიზაციებში აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას საბჭოთათ რუსეთთან,

ჩვენი ახალგაზღობის საუკეთესო ნაწილი დღეს გადასახლებულია რუსე- თის მივარდნილ ადგილების მთელ სივრცეზე ან და ციხე-ჩეკაში დამოშ- წყვდეულია, მაწილი კი მაინც ახერხებს ჯოჯონეთურ პირობებშიც თრგანი- ზაციულ-პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობას. მხოლოდ ახალგაზღობის ეს ნაწილი და უპარტიი ქართველი ახალგაზღობა შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი მომავალი ცხოვრების მესვეურებათ და მემკვიდრეთ.

კომუნისტური ახალგაზღობა ე. ი. კომსომოლა გადაგვარების გზას იღვის და მათი უმრავლესობისაგან სამწუხაროდ სასიკეთოს არაფერებს არ უნდა მო- ველოდეთ; ის ჩატელილია სტალინის „გენერალური“ ხაზის რეინის სალტებ- ში და მოქლებულია ყოველივე ოვით-მოქმედების საშუალებას. მას საკუთა- რი თავი არ აბია და ის ლენინის სახარებაზეა აღზრდილი. კომსომოლას პატა- რობიდანვე აჩვევენ ერთმანეთის დაბეჭდებას, გაუტანობას, ეჭვანობას და ყოველგვარ უზნეობას. სწავლა-განათლების მხრივ ის ხომ სულ უვიცია. მას აზეპირებენ კომუნიზმის ანბანს, პოლიტ-გრამოტას, ლენინის ნაწერებს, რა- საც მარქსიზმათ ასაღებენ; მაგრამ მათ არავითარი წარმოდგენა არ აქვთ სხვა სამეცნიერო დარგებზე. მისგან არც კი მოითხოვენ ამას, რადგან, რამდენათ უფიცი იქნება კომსომოლა, იმდენათ ის ხელსაყრელია ღიქტატურისათვის, ვი-

ნაიღგან მათ ადვილათ დაიმორჩილებენ და თავისუფლათ მოაზროვნე ოპოზიციონერებისაგან დაზღვეული იქნებათ. საბჭოთა ახალგაზღობის დიდი უმრავლესობა ისეთ პირობებშია ჩაყენებული „ახალგაზღობის“ მიზნით, რომ მათი გამობრუნება მეტად ძნელი საქმე იქნება, და უსათუოდ დიდი შრომასა და ენერგიას მოითხოვს. ამიტომაც ჩვენი პარტია ქართველ ახალგაზღობაში მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევს და მისი მიზანია გადაარჩინოს ჩვენი ახალგაზღობის ნაწილი მაიც ბოლშევიზმის მავნე გავლენისაგან და დაიხსნას ის საერთო გადაგვარებისაგან.

ანტი-საბჭოთა ახალგაზღობიდან ყველაზე ცუდ პირობებში დღეს მოსწავლე ახალგაზღობა იმყოფება. თუ კომსომოლა არა ხარ, შენთვის თითქმის შეუძლებელია სკოლაში შესვლა. მართალია დღევანდელი ბოლშევიკური სკოლა დიდი არაფერს იძლევა, მაგრამ სულ უსწავლოთ დარჩენას მაინც აგჯობინებენ ჩვენი ახალგაზღები რამენაირად სკოლაში მოხვდენ და მით ცოტა რამ მაინც შეიძინონ. უპარტიო ახალგაზღისათვისდღეს სკოლაში შესვლა დიდ სანატრელათ ათის გადაქცეული და ეს დიდ ხერხს და ენერგებას მოითხოვს სკოლაში შესვლით ის მაინც არ არის დაზღვეული, რომ შესძლოს მისი დასრულება, რადგან ვინ იცის რა შაირს არ მოდებენ და კარში არ გამოაგდებენ ან და ჩეკაში არ ამოაყოინებენ თავს. სკოლაში არ ღებულობენ „კულტა“ ან შავ-სიელთა შვილებს, შავ-სიაში მოხვედრა კი ადვილი საჭმა. ამისთვის საკამარისია შენი მამის ან ვინმე ნათესავის ფიზიონომია რომელიმე კომუნისტს ან კომსომოლს არ მოეწონოს და შენთვის ამის შემდეგ დახურულია ყველა კარები. ყველა სკოლასთან არსებობს სპეციალური კომისიები და ისინი იკვლევენ მოსწავლის და მათი მშობლების წარსულს. უვიცი კომსომოლისათვის კი კარები მუდამ ღიაა და ის დღეს ბოლშევიკური სკოლის ბატონ-პატრიონია. სამოსწავლო პროგრამა დღითი-დღე იცვლება და სრულ არარაობაზე არის დასული. სახელმწიფო უნივერსიტეტი ფაქტიურად გაუქმებულია და უმაღლესი სკოლა ინსტიტუტების სახით კომსომოლთა სათარეშო გახდა. უნივერსიტეტზე მიტანილი იერიში მიმდინარე სამოსწავლო წელში დათავდა დამსახურებულ პროფესორების იქიდან გაყრით. კომპარტია შიშობს რომ ახალგაზღობა არ მოექცეს მენშევიკური „წვრილ-ბურჟუაზიული“ იდაელოვის გავლენის ქვეშ. უნივერსიტეტის შესავალ კარებთან დაინახავთ პლატტებს შემდეგი წარწერით: „არც ერთი არა-სამედო ელემენტი უნივერსიტეტის კედლებში“.

არც მუშა-მოსამსახურეთა ახალგაზღობაა უკეთეს პირობებში. საბჭოთა სამყაროში სადაც მათი თქმითუმუშავრობა არ არის, უპარტიო ახალგაზღობას სამუშაოზედ არ ღებულობენ, გარდა ისეთისა, სადაც კომსომოლა არ იკისრებს მუშაობას; ასეთია შავი სამუშავო, მასთან ისიც მეტათ ძნელია საშოგნელათ. ზედ-მეტია რასაკვირველია რაიმე შრომის დაცვაზედ ლაპარაკი, კომსომოლა ორჯერ მეტს ღებულობს ვინემ უპარტიო ახალგაზღა, ყველა ამ უკანასკნელის უფროსი და ბრძანებელია.

ქართველი ახალგაზღობის დიდი ნაწილი განდევნილი ქალაქებიდან

ერთხანს სოფელს აფარებდა თავს და თავის სამუშაო ძალას სოფლის მეურნეობაში იყენებდა. კოლექტივზაგაცის გამოცხადების შემდეგ ეს არსებობდა სახსარი მოესპო და ღლეს ახალგაზღვობა აუტანელ გაჭირვებას განიცდის კონკრეტული ინიციატივის მიზანთ ახალგაზღვობა მთლიანათ ჩამდულია საოკუპაციო რეჟიმთან ბრძოლაში და ის სა-კართველოში ღლეს ყველაზედ აქტიური და მომქმედი ელემენტია ამ შერიც-ანტი-საბჭოთა ქართველი ახალგაზღვობის ხელმძღვანელები ღლეს ჩვენი ორანიზაციებია და მის გარშემო იკრიბებიან ყველა სასიცოცხლო ძალები, ისინი განვითარებიან ენერგიულ მუშაობას ქართველი ახალგაზღვობის პოლიტიკურათ გა-წვრთნის და გათვიცნობიერების საქმეში. ახალგაზღვობა ეს ხომ საზოგადოების მგრძნობიარე ნაწილია, მომავალი ცხადია მას ეკუთვნის, ერთია მისი უხეში ძალით დაპყრობა და სულ სხვა მისი იდეით გატაცება და მიმხრობა. პირვე-ლი საშვალება ეს ბოლშევიკებისაა, მეორე-კი ჩვენი. ჩვენი ახალგაზღვობა მთლიანათ იდეიურია. ის გატაცებულია ერის თავისუფლებისა და საკაცო-ბრიო იდეალებით, აი სწორეთ ამაშია ჩვენი სიძლიერე და ბოლშევიკების სისუსტე. საბჭოთა უკიც „კომსომოლა“-ს ჩვენ უპირდაპირებთ სოციალ-დე-მოკრატიის იდეოლოგიაზედ აღზრდილ ახალგაზღვებს ჩაც მათ რიგებში იწ-ვებს მუდმივ რეებასა და დაშლას.

ჩვენი ორგანიზაციები მომზადებული შეხვდებინ ბოლშევიკების კრი-ზისის ხანას, რაც შორს არ არის... მომავალი ქართველ ახალგაზღვობას, უკუთვნის.

ვ. ღლონტი.

საქართველოს ახალგაზღვა მარშსისტთა ორგანიზაციების ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

მოგესალმებით მხურვალეთ და გისურვებთ გამარჯვებას...

ჩვენ ღიდის აღფრთოვანებით და განცდემით გავეცნით თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და მოვისმინეთ მაქედან ამ უკანასკნელათ ჩა-მოსული ამხანაგების მოხსენება თქვენი მუშაობის შესახებ. ჩვენ ახტაცე-ული ვართ იმგმირული ბრძოლით რომელიც თქვენის ხელმძღვანელობის ეშვეა ჩვენი მხერ არზანიზაციები საოკუპაციო რეჟიმის წინაძლება.

ამხანაგებო, ჩვენი ყურადღება მთლიანათ თქვენსკენაა მოპყრობილი და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ურყობათ შეასრულებთ იმ უდიდეს მისიას, რომელიც თქვენ ბედმა დაგაკისრათ ჩვენი ტახჯული მშობელი ერის საკეთილდღეოთ...

გწამდეთ ძვირფასო ამხანაგებო, რომ უცხოეთში გადმოხვეწილი ახალ-გაზღვობა მტკიცეთ შეასრულებს ყველა თქვენს დავალებას და თქვენი პირ-ველი მოწოდებისთანვე თქვენს მებრძოლთა რიგებში გაჩნდება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი თავდადება და ჩვენი საკუთხევლი გმირული ბრძოლა უნაყოფოო არ ჩაივლის და მალე ვისილავთ ერთმანეთს ან გადამწყვეტ ბრძოლაში ან და თავისუფალ სამშობლოში....
გვიგულეთ ძვირფასო ამხანაგებო თქვენს რიგებში და იყავით მტკიცეთ და მხნეთ. ძომავალი ჩვენია. ჩვენი მხურვალე სალამი ჩვენს მებრძოლ პარტიას და ჩვენ მხნე ორგანიზაციებს.

ამხანაგური საღამით საქართველოს ახალგაზ. მარქ.
ორგანიზაციების უცხოეთის დელეგაცია.

ივლისი. 1931 წ.

հ ե ջ ա ժ Յ Ո Ս Ա Ց Ե Բ

საქართველოს ახალგაზ. მარქ. ორგანიზაციების უცხოეთის დელეგაციამ თანახმად საქართველოდან მიღებული დირექტივებისა დაადგინა: ამიერიდან უურნალი „ახალ. სოც.-დემ-ტი“ გადააკეთოს სამეცნიერო და საინფორმაციო კრებულად. კრებულში გაშუქებული იქნება სოციალ-დემოკრატიული იდიოლოგია და სხვა და სხვა ქვეყნების სოციალისტურ და მუშათა პროფესიონალური მოძრაობა. ვთხოვთ პარტიის ხელმძღვანელთ და ამხანაგებს მოგვაწოდონ მასალები ამხ. პ. სარჯველაძის მისამართზე: Rue de Varenne, 2. Paris (7) ლონ მასალები ამხ. პ. სარჯველაძის მისამართზე:

საქართველოდან მეტათ სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ. გადასახლებაში გარდაცვლილი ტვინის ანთებით ამხ. პავლე .გაფრინდაშვლილი. ის ჭიათურის რაიონიდან იყო და ითვლებოდა ერთ-ერთ აქტიურ მომუშავეთ ჩვენ იქაურ ორგანიზაციაში.

ԵՐԵ ՀԱՅՈՑՑՈՂՈՒՄ ՊՈՅԻ

ამ მოქლე დროში იდეჭდება და გამოვა ტრალიკულით დაღუბული ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი ნოე რამიშვილის უკანასკნელი შრომა „დემოკრატიული სოციალიზმი“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ახალგაზღობისათვის. წიგნის გამოწერა შეიძლება „ბრძოლის ხმის“ რედაქციიდან.